საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი
2020 წლის ანგარიში

<u>2020 წლის მნიშვნელოვანი მიღწევები/შედეგები:</u>

- **უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო/კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმება/განახლება:**

უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო და კვლევით დაწესებულებებთან ინსტიტუციური პარტნიორობის განვითარების, არსებული პარტნიორთა ქსელის გაფართოებისა და თანამშრომლობის სფეროების გამრავალფეროვნების მიზნი, დეპარტამენტმა უზრუნველყო ახალი პარტნიორი უნივერსიტეტებისა და ორგანიზაციების მოძიება. სხვადასხვა უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან აქტიური მიმოწერისა და მოლაპარაკებების საფუძველზე განისაზღვრა ორმხრივი დაინტერესების სფეროები და საბოლოო ჯამში გაფორმდა/განახლდა თანამშრომლობის 32 ხელშეკრულება/მემორანდუმი.

- **საერთაშორისო საგრანტო (ERASMUS + Key Actio1: ICM) განაცხადების მომზადება და უნივერსიტეტის ჩართვა საერთაშორისო მობილობის პროგრამებში:**

სხვადასხვა ევროპულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობით მომზადდა და ევროკომისიაში დასაფინანსებლად წარდგენილ იქნა ერაზმუს+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის 141 საგრანტო განაცხადი, რომელთაგან დაფინანსდა 102 პროექტი.

- **საერთაშორისო პროექტების მართვა და მის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების განხორციელება**

წლის განმავლობაში დეპარტამენტმა ადმინისტრირება გაუწია ერაზმუს + საერთაშორისო კრედიტ მობილობის 66 პროგრამას და ამასთანავე, ორგანიზაცია DIKU-ს მიერ დაფინანსებულ საერთაშორისო პროექტს, ოსლოს მეტროპოლიტან უნივერსიტეტთან თანამშრომლობით.

- **გაცვლითი და საერთაშორისო სასწავლო პროგრამების პოპულარიზაცია სამიზნე აუდიტორიაში**

გაცვლითი პროგრამების შესახებ გაიმართა 3 საინფორმაციო შეხვედრა და თსუ-ს ვებ–გვერდსა და დეპარტამენტის სოციალურ ქსელებში განთავსდა 26 განცხადება გაცვლით კონკურსებთან დაკავშირებით. დაინტერესებულ პირებს გაეწიათ კონსულტაციები სააპლიკაციო პროცედურებთან დაკავშირებით.

- **გაცვლითი პროგრამების ფარგლებში თსუ-ს სტუდენტებისა და პერსონალის შესარჩევი კონკურსების ორგანიზება:**

დეპარტამენტმა უზრუნველყო თსუ-ს სტუდენტებისა და პერსონალის შესარჩევი 26 კონკურსის ჩატარება, ერაზმუს პლიუსის საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამებისა და პარტნიორ უნივერსიტეტებთან გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულებების ფარგლებში გამოყოფილი სტიპენდიების მისანიჭებლად. კონკურსების შედეგად სტიპენდია მოიპოვა 131-მა სტუდენტმა და 16 პერსონალმა (11 აკადემიური/5 ადმინისტრაციული).

- **პარტნიორ უნივერსიტეტებში თსუ-ის სტუდენტებისა და პერსონალის მობილობის კოორდინირება**

დეპარტამენტმა მომსახურება გაუწია კონკურსების შედეგად შერჩეულ თსუ-ს 131 გაცვლით სტუდენტსა და 16 აკადემიურ/ადმინისტრაციულ პერსონალს. კერძოდ, უზრუნველყო შერჩეული კანდიდატების ნომინირება პარტნიორი უნივერსიტეტებისთვის და სტუდენტს/პერსონალს და სასწავლო დაწესებულებებს შორის სასწავლო/მობილობის ხელშეკრულების გაფორმება. გარდა ამისა, სტიპენდიანტებისთვის მოეწყო მობილობის საკითხებთან დაკავშირებული საინფორმაციო შეხვედრები.

- **უცხოელი სტუდენტების თსუ-ში მობილობის კოორდინირება**

დეპარტამენტმა კოორდინირება გაუწია 36 უცხოელი გაცვლითი სტუდენტის თსუ-ში მობილობას და უზრუნველყო მათი ინტეგრირება პროფილურ ფაკულტეტებზე, კერძოდ: სასწავლო ხელშეკრულებების მომზადება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა, საორიენტაციო დღეების და ტრენინგების ორგანიზება, დაბინავების ხელშეწყობა.

<u>2020 წლის გაზაფხულის სემესტრში დაგეგმილი ვიზიტები, მათ შორის აკადემიური პერსონალი - 28, ადმინისტარციული პერსონალი - 67, გადაიდო COVID პანდემიის გამო.</u>

- **გრძელვადიანი უცხოელი [native speaker] ლექტორების ჩამოყვანა თსუ-ში**

ესპანურ მხარესთან წარმოებული მოლაპარაკებების შედეგად დეპარტამენტმა უზრუნველყო ესპანური ენის პედაგოგის ჩამოყვანას თსუ-ში და უზრუნველყო მისი ინტეგრირება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე; ამასთანავე, ბასკეთის ინსტიტუტთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, დეპარტამენტმა ითანამშრომლა ბასკეთის ინსტიტუტის პროფილურ სამსახურებთან ბასკური ენის ლექტორის შესარჩევი კონკურსის გამოსაცხადებლად, თუმცა ლექტორის ვიზიტი თსუ-ში გადაიდო 2021 წლის შემოდგომის სემესტრისთვის COVID პანდემიის გამო.

- **საზღვარგარეთ განსახორციელებელი საქმიანი ვიზიტების კოორდინირება**

დეპარტამენტმა ორგანიზება გაუწია თსუ-ის რექტორისა და ადმინისტრაციული პერსონალის 6 სამუშაო ვიზიტის განხორციელებას საზღვარგარეთ.

- **უცხოელი სტუმრების მიღება თსუ-ში**

წლის განმავლობაში დეპარტამენტმა კოორდინირება გაუწია 82 უცხოელი სტუმრის ვიზიტს თსუ-ში, რაც მიზნად ისახავდა სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივების განხილვას.

- **საერთაშორისო ღონისძიებების ორგანიზება**

დეპარტამენტმა ორგანიზება გაუწია თსუ-ს წინაშე განასკუთრებული ღვაწლის მქონე პირისთვის თსუ-ს საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების ღონისძიებას.

<u>COVID პანდემიის მიზეზით გაუქმდა 2020 წლის გაზაფხულისთვის ორგანიზებული პერსონალის მე-5 საერთაშორისო კვირეული.</u>

- ***2020 წელს COVID პანდემიის გათვალისწინებით, ახალ რეალობაზე გადაწყობის მიზნით განხორციელებული აქტივობები/ღონისძიებები:***

პანდემიური პროცესების გათვალისწინებით, ახალ რეალობაზე მორგების მიზნით:

- დეპარტამენტმა უზრუნველყო სამუშაო პროცესის სრულად დისტანციურ რეჟიმში გადაწყობა,
  - დეპარტამენტმა განაახლა, დახვეწა და ინფორმაციით შეავსო თსუ-ს ახალი ვებ-გვერდის ის სექციები, რომლების საერთაშორისო ურთიერთობებს ეხება;
  - დეპარტამენტმა აქტიურად იმუშავა ფინანსთა სამინისიტროს ანალიტიკურ სამსახურთან გაცვლითი პროგრამების მართვის პორტალის mobility.tsu.ge დახვეწისა და განვითარების კუთხით;
  - დეპარტამენტმა დანერგა გაცვლითი კონკურსებისა და საქმიანი შეხვედრების სრულად ელექტრონულ ფორმატში წარმართვის პრაქტიკა.